ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 9ს

გამარტივებული შესყიდვა

საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს[1]“ ქვეპუნქტი

დაფინანსების წყარო 2023 წლის საკუთარი შემოსავლები

ხელშეკრულება შედგენილია 2023 წლის 18 მაისს

ერთის მხრივ, **ა(ა)იპ „მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე“** (ს/კ 404494980), შემდგომში წოდებული „შემსყიდველად“, წარმოდგენილი მისი დირექტორის **თინათინ რუხაძის სახით** და მეორეს მხრივ, **შპს "ელ. ბილეთები"** (ს/კ 205268869), შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად“, წარმოდგენილი მისი დირექტორის **დავით მიზანდარის** სახით ორივე ერთად წოდებული, როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

მუხლი 1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „ხელშეკრულება” - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას გაწევას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „მომსახურება“ - წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია, შემსყიდველის მიერ, გ. ყანჩელის სახელობის თბილისის ახალგაზრდული ორკესტრის 2023 წლის 04 ივნისის კონცერტის ელექტრონული ბილეთების გაყიდვის პროგრამული და ტექნიკური სისტემის გამართვის მომსახურების შესყიდვა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

(CPV72200000)

მუხლი 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. **ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულებაა: 771.30 (შვიდას სამოცდათერთმეტი ლარი და ოცდაათი თეთრი) ლარი**

3.2. **ხელშეკრულების ღირებულება დაზუსტდება ფაქტიურად გაყიდული ბილეთების ღირებულების 6%-ის შესაბამისი თანხით.**

3.3. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს (მათ შორის დამატებითი ღირებულების გადასახადს).

3.4. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მუხლი 4. ხელშეკრულების საგნის მიწოდების ვადა და ადგილი

4.1. მომსახურების გაწევის ვადაა: წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან 2023 წლის 04 ივნისის ჩათვლით.

4.2. მიწოდების ადგილი: ონლაინ, www.biletebi.ge-ს ვებ-საიტზე.

მუხლი 5. მხარეთა მოვალეობანი

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა. უზრუნველყოს, „შემსყიდველის“ სხვადასხვა ღონისძიებებისა და კონცერტების ბილეთების გაყიდვის პროგრამული და ტექნიკური სისტემის გამართვის მომსახურების გაწევა, რისთვისაც “მიმწოდებელი“ თავის კუთვნილ სერვერზე „შემსყიდველს“ გამოუყოფს სივრცეს, სადაც დაინსტალირებული იქნება პროგრამული უზრუნველყოფა, რის საფუძველზეც „შემსყიდველს“ შესაძლებლობა ექნება ამავე ხელშეკრულებით განსაზღვრულ პერიოდში, კომპიუტერული ქსელის გამოყენებით აწარმოოს შემდეგი ოპერაციები: წარმოდგენების მენეჯმენტი, ბილეთების კატეგორიზაცია და ფასწარმოქმნა, ბილეთების დაჯავშნა, შემოსავლების აღრიცხვა და კონტროლი.

ბ. ღონისძიების გამართვიდან არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღისა შეადგინოს შედარების აქტი გაყიდული ელ.ბილეთების რაოდენობისა და თანხის შესახებ.

გ. ამ მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული შედარების აქტის შედგენიდან არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღისა ელ.ბილეთების რეალიზაციით მიღებული თანხა, უნაღდო ანგარიშსწორების წესით, სრულად გადარიცხოს „შემსყიდველის“ სახაზინო კოდზე:

743277519- სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები.

დ. შემსყიდველის წარმომადგენლის შეტყობინების მიღებისთანავე განათავსოს ინფორმაცია ბილეთების გაყიდვაზე ღონისძიების გამართვის დღის ჩათვლით.

ვ. მიაწოდოს მომსახურება შემსყიდველს მე-4 მუხლით დადგენილ ვადებში;

ზ. განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება;

თ. განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა. უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;

ბ. განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

მუხლი 6. ხარისხი

გაწეული მომსახურება უნდა იყოს მაღალი ხარისხის და შეესაბამებოდეს ხელშეკრულების 5.1. პუნქტით გათვალისწინებულ პირობებს.

მუხლი 7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება პერიოდულად, როგორც მომსახურების გაწევის დროს, ისე ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში.

7.2. შემსყიდველის მხრიდან კონტროლს განახორციელებს **ა(ა)იპ „მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის“ სასწავლო მეთოდური ცენტრის საშემსრულებლო მიმართულებების ხელმძღვანელი.**

7.3. შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნდებული მომსახურება, მიმწოდებელი ვალდებულია წერილობითი შეტყობინებიდან 3 (სამი) დღეში გამოასწოროს წუნი ან თუ წუნის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს მომსახურების ღირებულება დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული მომსახურების ღირებულება.

7.4. თუ ამ მუხლის 7.3. პუნქტით გათვალისწინებული წუნის გამოსწორების ვადა სცილდება ხელშეკრულების მოქმედების ვადას, მიმწოდებლის მიერ წუნის გამოსწორება, ხოლო წუნის გამოსწორების შეუძლებლობის შემთხვევაში თანხის დაბრუნება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე.

მუხლი 8. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

8.1. მომსახურების მიღება წარმოებს ეტაპობრივად მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით, კონტროლის განმახორციელებელი პირის დადებითი დასკვნის საფუძველზე. თუ კი მიწოდების ბოლო ვადა ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება მოხდება მომდევნო სამუშაო დღეს.

8.2. მომსახურების მიღებას აწარმოებს: **ა(ა)იპ "მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე" სასწავლო მეთოდური ცენტრის საშემსრულებლო მიმართულებების ხელმძღვანელი.**

მუხლი 9. ანგარიშსწორება

7.1. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

გ) უნაღდო ანგარიშსწორება მოხდება მას შემდეგ, რაც „მიმწოდებელი" კონცერტის ელექტრონული ბილეთების რეალიზაციით მიღებულ თანხას სრულად გადარიცხავს „მიმწოდებლის" სახაზინო ანგარიშზე.

9.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიღებული მომსახურების ღირებულება, წინამდებარე ხელშეკრულების 5.1. მუხლის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემსყიდველისათვის თანხის სრულად ჩარიცხვის, **მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის ან ინვოისის წარმოდგენიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში.**

9.3. თუ კი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

მუხლი 10. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

10.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

10.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-12 მუხლის შესაბამისად.

მუხლი 11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1. წინამდებარე ხელშეკრულების 5.1. პუნქტითა ან/და წინამდებარე ხელშეკრულების გათვალისწინებული თითოეული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო თითოეულ ვალდებულების დარღვევის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.2%-ის ოდენობით.

11.2. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1 (ერთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

11.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლი 12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

12.1. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით

12.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

მუხლი 13. დავების გადაწყვეტა

13.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

13.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 3 (სამი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

მუხლი 14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. შემსყიდველი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება, თუ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

14.2. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

14.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისგან.

მუხლი 15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის **ხელშეკრულების გაფორმებიდან და მოქმედებს 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.**

მუხლი 16. ფორს-მაჟორი

16.1. წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

16.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი

ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

16.3. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

მუხლი 17. სხვა პირობები

17.1. ხელშეკრულება გაფორმებულია **ელექტრონულად, ქართულ ენაზე.**

17.2. წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე მუხლის (ან მისი ნაწილის) ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანად ხელშეკრულების ბათილობას;

17.3. საკითხები, რომლებიც წარმოშვებიან წინამდებარე ხელშეკრულების მხარეებს შორის და რომელთა რეგულირებაც არ არის მოცემული ხელშეკრულებაში, გადაწყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე;

17.4. ხელშეკრულების მუხლებს წანამძღვრებული აქვს სათაურები ხელშეკრულების ტექსტით სარგებლობის გასაადვილებლად და ეს სათაურები არ მიიჩნევა ამ ხელშეკრულების რომელიმე დებულების განმსაზღვრელად, შემცვლელად ან განმმარტებლად.

17.5. მხარეთა შორის შესაბამის შეტყობინებასა და ინფორმაციაზე პასუხისმგებელი პირებია: შემსყიდველის მხრიდან ხათუნა შავშიშვილი, მობ. 595 170 015, ელ. ფოსტა xatuna1505@gmail.com და ელენე ალადაშვილი, მობ. 558 232 151, ელ.ფოსტა elene.aladashvili@tsc.edu.ge, მიმწოდებლის პასუხისმგებელი პირია ნოა დეისაძე, მობ. 555 426282, ელ. ფოსტა events@biletebi.ge.

მუხლი 18. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი
ა(ა)იპ „მოსწავლე - ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე“
იურიდიული მის: ქ.თბილისი, რუსთაველის გამზ. №6
ტელეფონი: 2931560
ელ. ფოსტა: procurement@youthpalace.ge
ს/კ 404494980
საბანკო რეკვიზიტები:
სახელმწიფო ხაზინა
კოდი: TRESGE22

მიმწოდებელი
შპს "ელ. ბილეთები"

მის: ქ. თბილისი, ალ.ყაზბეგის 29 ა
ტელ: 555 426 282
ელ. ფოსტა: events@biletebi.ge
ს/კ 205268869
საბანკო რეკვიზიტები:
სს თიბისი ბანკი კოდი: TBCBGE22
ა/ა: GE45TB7118936020100003

დირექტორი
თინათინ რუხაძე

Tinatin Rukhadze 01017009784
Digitally signed by Tinatin Rukhadze
Date: 2023.05.19 13:03:32

დირექტორი
დავით მიზანდარი

David Mizandari 01024003686
Digitally signed by David Mizandari
Date: 2023.05.19 20:05:26